MES 4 22 0001386421

01/11/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა
ლელა ფიცხელაური - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს თამარისი
ზაზა კილაძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ნერგები
ირინე აბაშიძე - დაწესებულების დირექტორი

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი
მარიკა ილურიძე - დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა
მარიამ ხუციშვილი
ეკატერინე ვეკუა

შპს თამარისი
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ნადარეიშვილი

შპს ნერგები
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ნადარეიშვილი

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი
ლიანა კობესაშვილი
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა

საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს თამარისი-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ნერგების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მარიამ ხუციშვილმა და ეკატერინე ვეკუამ.
ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა, განაცხადა, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე სასწავლო პროცესის უკეთესი პირობების შეთავაზების მიზნით, დაწესებულებამ შეიძინა დამატებითი ფართი: ქ. თბილისში, შოვის ქ. N3, არსებული სამ-სართულიანი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 542.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე საგანმანათლებლო დანიშნულების შენობა-ნაგებობა. მარიამ ხუციშვილმა განმარტა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა შოვის ქუჩაზე არსებულ ფართზე. ექსპერტის თქმით, მიმდინარე წლის 30 სექტემბერს სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შეიცვალა მისამართის

სახელწოდება, კერძოდ, ქ. თბილისში, შოვის ქ. N3-ს ეწოდა შემდეგი - ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N44.
ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზი არ უფიქსირდებოდა. ექსპერტის თქმით, სკოლას შეძენილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი, რაც დასტურდებოდა შესყიდვების დოკუმენტაციით, თუმცა ვიზიტის დროს აღნიშნული ლაბორატორიის ნაკრები არ იყო სკოლისთვის გადმოცემული. მარიამ ხუციშვილმა, აქვე დაამატა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლითაც დასტურდებოდა დაწესებულების მიერ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტით აღჭურვით უზრუნველყოფა.
მარიამ ხუციშვილმა განმარტა, რომ შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მფლობელობაში შოვის ქუჩაზე არსებულ ფართზე ფუნქციონირებდა 8 საკლასო და 2 რესურს ოთახი. მისი თქმით, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება ფლობდა 19 პერსონალურ კომპიუტერსა და 7 ლეპტოპს. მან, აქვე, დასძინა, რომ ყველა კომპიუტერი გამართულად მუშაობდა და ჩართული იყო ელექტრონულ ქსელში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლა ამჟამად უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე მიიღო ლაბორატორია და განათავსა სკოლის ტერიტორიაზე. მან, აქვე, დასძინა, რომ აღნიშნული ლაბორატორია აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (ს/კ: 202937983) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს თამარისი-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 15 და 16 სექტემბერს. მისი თქმით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებული 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, რომელთა შორისაც იყო: ხალხური ცეკვა, ხალხური საკრავების დაკვრა, სახვითი ხელოვნება. ექსპერტმა განაცხადა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, არაფორმალური განათლების კუთხით, სკოლაში ფუნქციონირებდა: ბუნების მეგობართა კლუბი, მათემატიკისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელთა კლუბი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამრიგებლის მუშაობის პრინციპებსა და სადამრიგებლო საათის სარეკომენდაციო პროგრამაში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მისი თქმით, სადამრიგებლო პროგრამები მოიცავდა ისეთ აქტივობებს, როგორებიც იყო: საუბრები მოსწავლეებთან, დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება, ასევე, შეხვედრების მოწყობა ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილებით დასტურდებოდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. ქეთევან ბოტკოველის თქმით, მოსწავლეები აცნობიერებდნენ მომავალი პროფესიის არჩევის მნიშვნელობას. მან აქვე დასძინა, რომ ჰოლანდის ტიპოლოგიასა და კლიმოვის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, თითოეული მოსწავლე ეცნობოდა პიროვნული თვისებებისა და სამუშაო გარემოს მიხედვით ადამიანთა ტიპებისა და პროფესიათა ზოგად კლასიფიკაციას.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა მიერ შემოწმდა მასწავლებლების ინდივიდუალური პორტფოლიოები. მისი თქმით, მასწავლებელთა ინდივიდუალურ პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო თემატური მატრიცები, კომპლექსური დავალებების პირობები და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, გაკვეთლების გეგმები და დამატებითი რესურსები, შეფასების სქემები და საგნის მასწავლებლის სემესტრული და წლიური ანგარიშები.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ინიციატივითაც, იგეგმებოდა სხვადასხვა ლაშქრობა და ღონისძიება. ექსპერტმა, აქვე, დასძინა, რომ სკოლას ასევე, გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ფუნქციონირებდა მათემატიკის შაბათის სკოლა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სკოლის შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ დებულება. მისი

თქმით, აღნიშნული დებულება წარმოადგენდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმს. ექსპერტმა განმარტა, რომ შიდასასკოლო მონიტორიგი მოიცავდა სასწავლო პროცესზე დირექციის კონტროლს ორი მიმართულებით: მონიტორიგი და შეფასება. მონიტორინგი გულისხმობდა მონაცემების შეგროვებას გაანალიზებასა და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენციას. შეფასება კი, თავის მხრივ, ითვალისწინებდა სასწავლო პროცესის ანალიზს მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელშიც გაწერილი იყო ხარისხის განვითარების ჯგუფის მიზნები.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქ. ბათუმში, ხუთ-სართულიან შენობაში. მისი თქმით, საკლასო ოთახები განთავსებული იყო მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე სართულებზე, ხოლო მეხუთე სართულზე განთავსებული იყო ორი სპორტული დარბაზი. სკოლაში ფუნქციონირებდა 12 საკლასო ოთახი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფდა მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ექსპერტმა, აქვე, დასძინა, რომ სასკოლო გარემო იყო ადაპტირებული. მისი თქმით, სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე არ ჰყავდა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ქეთევან ბოტკოველის თქმით, დაწესებულების ვებ-გვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი. მისი თქმით, სკოლას ჰყავდა ექიმი (პედიატრი), რომელთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულება, თუმცა, სკოლის დებულებაში, რომელიც მოიცავდა დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებსაც, ექიმის ვალდებულებები გაწერილი არ იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლის დებულებაში გაკეთებულიყო ჩანაწერი სკოლის ექიმის მოვალეობის შესახებ.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა 2021-2022, 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები და 2021-2027 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. ექსპერტის თქმით, სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული მიზნები, სრულად მოიცავდა იმ საკითხებს, რომლებიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ემსახურებოდა, თუმცა ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა - შემუშავებულიყო სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ჩარჩო, რომელიც ასახავდა სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ასევე, ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებსა და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.

ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა 24 მასწავლებელი. მისი თქმით, თითოეულ მათგანთან გაფორმებული იყო კანომდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებდა კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებდა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ, როგორც ძირითად პოლიტიკას, ასევე, პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წარმომადგენელმა, ნატო გაბოშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ როგორ ახორციელებდა სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას და რატომ ჰქონდა მას წარმოდგენილი, როგორც 2021-2017, ასევე, 2022-2028 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ზაზა კილაძემ, განმარტა, რომ დაწესებულების 2021-2027 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არ ითვალისწინებდა მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვას. შედეგად, დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი, 2022-2028 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა ზემოხსენებული ნაწილის ასახვა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ხარისხის ჯგუფის დებულება. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, აღნიშნული დებულების გარდა, კიდევ რა მექანიზმს იყენებდა დაწესებულება სასკოლო სასწავლო გეგმისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მხოლოდ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. ექსპერტის თქმით, აღნიშნული დებულების IV თავი ეთმობოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 210 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარისი-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 210 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თამარის-ს (ს/კ: 446966025) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ნერგების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 13 და 14 სექტემბერს. მისი თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავდა ყველა იმ კომპონენტს, რომელიც გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით. ექსპერტმა, დაადასტურა, რომ სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ უფიქსირდებოდა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეოდა ქ. ბათუმში. მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა 20 საკლასო ოთახი. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებული საკლასო ოთახების რაოდენობა, ასევე, მათში განთავსებული მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფდა მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რომელშიც განთავსებული იყო ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, თუმცა ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი ფარი, რასთან დაკავშირებითაც, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია ლაბორატორიის კაბინეტში გამწოვი ფარის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებული საკლასო ოთახები უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით, თუმცა სამ საკლასო ოთახში არსებული პატარა ზომის ფანჯრები, სრულად ვერ უზრუნველყოფდნენ დღის განათებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას ექსპერტების მხრიდან, მიეცა რეკომენდაცია ფანჯრების გადიდებასთან დაკავშირებით. ქეთევან ბოტკოველმა, აქვე, დასძინა, რომ დაწესებულებაში არ იყო დამონტაჟებული ცენტრალურ გათბობის სისტემა, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებაში ცენტრალური გათბობის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებდა დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. მისი თქმით, ბიბლიოთეკაში გამოკრული

იყო მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ბიბლიოთეკარის მოვალეობები გაწერილი იყო დაწესებულების შინაგანაწესში, აღნიშნული ჩანაწერი იყო ზოგადი და არ იყო კონკრეტული. აღნიშნულის შესაბამისად, ექსპერტებმა სკოლას მისცეს რჩევა, შინაგანაწესში ბიბლიოთეკარის მოვალეობების დეტალურად გაწერის შესახებ.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებული სველი წერტილები ვერ ჩაითვლებოდა ადაპტირებულად. კერძოდ, სკოლის მესამე სართულზე განთავსებულ სველ წერტილებში დამონტაჟებული იყო სახელურები შშმ პირთათვის, თუმცა სველ წერტილებში ეტლით შესვლა იყო შეუძლებელი. დაწესებულებამ მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს წარმოადგინა ცენტრში წერილი, სადაც ასახული იყო, რომ აღნიშნული გარემოება გამოსწორებული იყო და წერილს თან ერთვოდა შესაბამისი დამადასტურებელი ფოტო მასალა.
ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდზე სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, ასევე, წარმოედგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შესრულებული სამუშაოს ანგარიშები და ელექტრონული ჟურნალი. ექსპერტის თქმით, მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებას უზრუნველეყო ვებ-გვერდის მუდმივი განახლება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა სასკოლო საზოგადოების სწრაფ და ეფექტიან ინფორმირებულობას. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო განვითარებაზე და ითვალისწინებდა ექსპერტების მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას საავტორიზაციო დოკუმენტებში წარმოდგენილი ჰქონდა 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმა. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, რამდენად შემოწმდა მათი მხრიდან დაწესებულების 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა დაადასტურა, რომ ექსპერტები იცნობდნენ დაწესებულების 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნერგების ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ნერგებს (ს/კ:

245439878) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით, პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 08 და 09 სექტემბერს. მისი თქმით, დაწესებულებას არ უფიქსირდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოსწავლეთა მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახის გამოკითხვაში და ასევე, მონაწილეობდნენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ექსპერტმა განმარტა, რომ საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ვიზიტის პერიოდში სკოლას უკვე ჰქონდა დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების საფუძველზე. შეფასების ინსტრუმენტებად გამოყენებული იყო მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენდა ერთიან დოკუმენტს. ის იყო დანომრილი და აკინძული, განხილული იყო პედსაბჭოზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ. ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის საათობრივი ბადე წარმოადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ მესამე მოდელის საათობრივ ბადეს, რომელიც სკოლას შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო წლიური გამოცდების ჩატარება, შემაჯამებელი დავალებების აღდგენისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი. ექსპერტის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა ექვსი საგნობრივი კეთედრა.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, იოსებ და ლეონ

ორბელების ქ. N64-ში. სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობდა საბავშვო ბაღის შენობა, რომელიც შემოსაზღვრული იყო და ვიზიტის დროს გაიმიჯნა სკოლის დირექტორის 08 სექტემბრის N1/02-137 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით. ექსპერტის თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დაწესებულებას 6 შენობა-ნაგებობა უფიქსირდება. შენობა-ნაგებობა N1 და N2 წარმოადგენდა სკოლის შენობას (ა და ბ ბლოკი), N3-შენობა იყო ბლოკებს შორის დამაკავშირებელი დერეფანი, N4 შენობაში განთავსებული იყო ბაღი, N5 შენობაში საქვაბე და N6 შენობაში განთავსებული იყო დამხმარე ფართი გენერატორისათვის. ლიანა კობესაშვილის განმარტებით, შენობების საერთო ფართი იყო 6684,92 კვ.მ. დამხმარე ფართი კი 3953.53 კვ.მ. სკოლის მფლობელობაში ჯამში იყო 5873,77კვ.მ. ხოლო დანარჩენი იყო საბავშვო ბაღის სარგებლობაში. ექსპერტმა დაამატა, რომ ქონების მესაკუთრე იყო შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი.

ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის, თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა 46 საკლასო ოთახი. მათ შორის ქიმიის, ისტ-ის, ფიზიკის, ისტორია-გეოგრაფიისა და უცხოური ენების კაბინეტი. ყველა ოთახი აღჭურვილი იყო მოსწავლეთა ინდივიდუალური სარგებლობის მერხებითა და სკამებით, სასკოლო დაფებით, მათ შორის 3 ე.წ. ჭკვიანი დაფით, სასწავლო რესურსებით, მაწავლებლის მაგიდით, კარადებით და სხვა. ყველა ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განათება. ქიმიის კაბინეტი და სააქტო დარბაზი აღჭურვილი იყო პროექტორებით.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული იყო 82 თანამშრომელი, მათ შორის 51 იყო მასწავლებელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლაში დასაქმებული იყო 6 უსტატუსო მასწავლებელი, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებს ასწავლიდნენ. ექსპერტის თქმით, მასწავლებელთა პირად საქმეებში დაცული იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას. ლიანა კობესაშვილის განმარტებით, სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან და ადმინისტრაციულ–ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებები იყო დანომრილი და აღრიცხული სარეგისტრაციო ჟურნალში. მასწავლებლებლებთან გაფორმებული იყო სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ზოგიერთ ხელშეკრულებაში შრომის კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალი, კერძოდ, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები, არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული. ლიანა კობესაშვილის განმარტებით, სკოლამ, ვიზიტის პერიოდში, წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო შრომით ხელშეკრულებებში განხორციელდა ცვლილება შეთანხმებების გაფორმების გზით.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. მისი თქმით, მასწავლებლებს უტარდებოდათ შიდა ტრენინგები და სემინარები, რომელიც ხორციელდებოდა როგორც სკოლის შიდა რესურსებით, ასევე, მშობელთა დახმარებით. სკოლა ჩართული იყო ვებინარებში, რომელიც მიდინარეობდა ზოგადი განათლების განვითარების პროექტის ფარგლებში. ლიანა კობესაშვილმა დაამატა, რომ მასწავლებლები საჭიროებიდან გამომდინარე ისმენდნენ მასწავლებლის სახლის ვებინარებს, ესწრებოდნენ მასწავლებლის სახლის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებს. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებს პერსონალურ კონსულტაციას უწევდა სკოლის ფსიქოლოგი.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში იყო დაცულობისა და კეთილგანწყობის, პატივისცემაზე და კოლეგიალობაზე დაფუძნებული გარემო. სკოლა აღიარებდა თავისი მოსწავლეების/პერსონალის წარმატებას შესაბამისი წოდების მინიჭებით ან/და დაჯილდოების გზით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ მოქმედებდა სკოლა მოსწავლეთა მობილობის შემთხვევაში და რა შემთხვევაში ეუბნებოდნენ მოსწავლეებს ჩარიცხვაზე უარს. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიკა ილურიძემ განმარტა, რომ სკოლაში გასაუბრების წესით ხდებოდა სხვა სკოლის მოსწავლეთა მიღება. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნულ გასაუბრებას კათედრების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ მოსწავლის მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები და სკოლის ფსიქოლოგი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასაუბრების პერიოდშივე განისაზღვრებოდა შეძლებდა თუ არა მოსწავლე სკოლის პროგრამების დაძლევას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რა კრიტერიუმის მიხედვით ხდებოდა მოსწავლეთა შერჩევა მობილობის დროს. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიკა ილურიძემ, განმარტა, რომ მოსწავლე ფასდებოდა ტესტური დავალებისა და გასაუბრების საფუძველზე. აქვე, მან დაამატა, რომ მინიმალური ბარიერი უნდა ყოფილიყო 5 ქულა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა კანონდარღვევას და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონს ,,ზოგადი განათლების შესახებ“.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს მშობლებმა აღნიშნეს სკოლის მიერ განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, ახალი გადმოსული მოსწავლისთვის სკოლა წინასწარ გეგმავდა და ახორციელებდა დამატებით საგანმანათლებლო პროცესს, რომლის მიზანიც მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესება იყო.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლას თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ჰქონდა ინფორმაცია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შესახებ, კერძოდ, გამოქვეყნებული იყო წარჩინებული მოსწავლეების სია, ასევე, მედალოსანი მოსწავლეების ვინაობა და მათი მედლის ტიპი. გარდა ამისა, საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის თქმით, საიტზე გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მითითებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს წევრი, დაინტერესდა თუ როგორ ხორციელდებოდა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით უფლება ჰქონდა აღებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროვების შესახებ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ხორციელდებოდა თუ არა სკოლაში რომელიმე საგნის გაძლიერებულად სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიკა ილურიძემ, განმარტა, რომ სკოლაში აღნიშნული არ ხორციელდებოდა. აქვე, მან დაამატა, რომ დაწესებულებას დამატებული ჰქონდა რამდენიმე საგანზე საათობრივი დატვირთვა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რომელ საგნებში უწევდათ მოსწავლეებს მობილობის შემთხვევაში ტესტის დაწერა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიკა ილურიძემ, განმარტა, რომ ტესტის დაწერა მოსწავლეებს მობილობის შემთხვევაში უწევდათ ქართულ ენაში, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში. თუმცა, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები შეირჩეოდნენ მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში პირველკლასელთა მიღება. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიკა ილურიძემ, განმარტა, რომ გასაუბრების პროცესს ესწრებოდა

სკოლის ფსიქოლოგი, რომლის რეკომენდაციებსაც ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა კლასებში გადანაწილების დროს. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლა არცერთ პირველკლასელს არ ეუბნებოდა უარს მიღებაზე სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, საკითხის დაზუსტების მიზნით, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლაში ირიცხებოდა 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, 1-ელ და მე-6-ე კლასში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 700 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა, ზვიად გოგუაძემ და ეკატერინე კვირიკაშვილმა.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონს (ს/კ: 206217440) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ის დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. საბჭოს წევრის შეფასებით, დაწესებულებაში აღნიშნული უფლება ირღვეოდა და სკოლის მხრიდან მოსწავლეთა მობილობის პროცესი იყო არაკონსტიტუციური. ზვიად გოგუაძე გამოთქვამდა იმედს, რომ ამ ნაწილში დაწესებულება გადახედავდა საკუთარ პოლიტიკას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, გაიზიარა საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის განმარტება და გამოთქვა სურვილი, რომ სკოლას გაეთვალისწინებინა აღნიშნული საკითხი და

მოეყვანა შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ, მობილობის შემთხვევაში არცერთი მოსწავლისთვის არ ეთქვა ჩარიცხვაზე უარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:36 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა